შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №3/3504/71-1

2015 წლის 26 ნოემბრის №3/3504/71 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

თბილისი

31 მარტი 2015 წელი

ერთი მხრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ შპს ,,იბერია ავტო" (შემდგომში ,,მომწოდებელი"), გენერალური დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მხარეთა შორის 2015 წლის 26 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/3504/71 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ამავე ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

1. ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,17.1 ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორები: სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის გამოძახების მართვისა და ჰოსპიტალიზაციის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი - გიორგი ჩიჩუა, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ლოჯისტიკის დეპარტამენტის ავტოპარკის სამმართველოს უფროსი - გიორგი ლობჟანიძე, სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის კატასტროფების მართვის სამმართველოს უფროსი - ზვიად ჟიჟილაშვილი და სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ზაალ კაკაბაძე."

2. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, უცვლელი რჩება.

3. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან", ხოლო მეორე - ,,შემსყიდველთან".

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს 2015 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/3504/71 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის გამზირი №144, საიდენტიფიკაციო კოდი: N211333957 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: N200122500	შპს ,,იბერია ავტო" იურიდიული მის: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა ფაქტიური მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-15 კილომეტრი ს.ს. ,,ვი-თი-ბი ბანკი" ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE92VT7000000000888888 საიდენტიფიკაციო კოდი 236008129
ვალერი კვარაცხელია მინისტრის მოადგილე	ალექსანდრე ხუციშვილი გენერალური დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

თ. შალამბერიძე

ი. ქიტიაშვილი

ზ. ჟიჟილაშვილი

ზ. კაკაბაძე

გ. ლობჟანიძე

გ. ჩიჩუა

ი. გვასალია

შემსრულებელი: ა. მამალაძე